ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი






ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი, წარადგინე „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღე წიგნი

ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი

ვაუჩერი ძალაშია
5 აგვისტოდან
11 აგვისტოს ჩათვლით




ლამაზი დღესასწაულის სამახსოვრო ალბომი

~~15 ლარი~~

7.50 ლარი


შემეცნებით-გასართობი ჟურნალი

**30**

5 აგვისტო, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# ზოოსამყაროს გამოცანები

იპოვე „ზოოტოპიის“ მცხოვრებ რომელ გმირს რომელი ნაკვალევი ეკუთვნის და მასთან ხაზით დააკავშირე.



იპოვე ორი ცხოველი, რომლებიც „ზოოტოპიის“ მთავარი გმირები არიან.

რამდენი რქიანი ცხოველია აქ? რქიანი ცხოველი მეტია თუ ზოლიანი?

ამ ცხოველებს შორის, იპოვე ყველაზე მაღალი.



# ზოოტოპია




ჯერ არ გინახავს ახალი მულტფილმი „ზოოტოპია“? ნახე, ბევრს იხალისებ და ცხოველების საოცარ სამყაროშიც გადაინაცვლებ. მანამდე, ცოტას გიამბობ ამ მულტფილმზე.



ზოოტოპია, იგივე ზოოქალაქი თანამედროვე ქალაქია, რომელიც სრულიად განსხვავებული ცხოველებით არის დასახლებული. აქ უშველებელი სპილოებიც ცხოვრობენ და პაწაწინა თაგუნიებიც. ზოოტოპია რაიონებად არის დაყოფილი – სხვადასხვა სახეობის ცხოველები სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ.

თუმცა, ამ ქალაქის ცხოვრებაში ერთ დღესაც რაღაც შეიცვალა. გამოჩნდა მულტფილმის მთავარი გმირი – პოლიციის ახალი ოფიცერი, მხიარული და მამაცი კურდღელი, ჯუდი ჰოპსი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ თავისზე ძლიერი და დიდი ცხოველებისათვის საკუთარი სიმამაცე და გმირობა დაემტკიცებინა.



ჯუდის პარტნიორი ყბედი და ოინბაზი მელა, ნიკ უაილდია. ეს ორი მეგობარი მულტფილმის განმავლობაში ბევრ საოცარ თავგადასავალში გაეხვევიან და რთულ საქმეებსაც გახსნიან.

# იფიქრე და გაერთე

იპოვე წყვილები ამ ცხოველებს შორის და აღმოაჩინე, რომ ერთ მათგანს წყვილი არ ჰყავს. აბა, რომელი დარჩა მარტო?



# მოზაიკა

ამოჭერი ფრაგმენტები
და ნიმუშის მიხედვით
ააწყვე ნახატი.





# შემეცნებითი კროსვორდი



**1** ფრინველის სხეული ამ რბილი, მსუბუქი საფარველითაა დაფარული;

**2** ასე ჰქვია წვიმის შემდეგ ორმოში ჩამდგარ წყალს;

**3** ასე უწოდებენ ბევრი ცხვრის პატრონს, მწყემსს;



**4** ხალხური ლექსის მიხედვით, ამ თვის დადგომისას ხეში წყალი დგება;

**5** იტალიის დედაქალაქი, მას მარადიულ ქალაქს უწოდებენ;

**6** ეს მდინარე თბილისს ორ ნაწილად ჰყოფს;





**7** ეს ბატი ერთ-ერთი, ქართული მულტფილმის გმირია;

**8** ასე ჰქვია უოლტ დისნეის შვილის ნუკრს;

**9** ამ ყველაზე დიდ ფრინველს ფრენა არ შეუძლია, მხოლოდ დარბის, აქვს ლამაზი ბუმბული და თბილ ქვეყნებში ცხოვრობს;

10 ევროპის ამ ქვეყნის დედაქალაქია ათენი, ადრე მას ელადა ერქვა, იქაურებს კი – ელინები;

11 ასე ჰქვია ადამიანის ქვედა ყბის წინ გამოწეულ ნაწილს;



12 ამ ეკლიან ცხოველს, საშიშროების დროს, ბურთივით დამრგვალება შეუძლია;

13 ეს მდინარე კახეთში მიედინება;

14 ასე ეძახიან ადამიანს, რომელსაც ბევრი და მომაბეზრებელი ლაპარაკი სჩვევია.



დააკვირდი ამ ფიგურებს და ეცადე, ცარიელ წერტილებზე ასეთივე ფიგურები დახაზო.





ელვა.GE
გამოიწერეთ ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
უფასო მომსახურებით
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

# კროსვორდი




1 მულტფილმი „...-ცხოველთა ქალაქი“;

2 მგელი „მაუგლიდან“;

3 ძაღლის ჯიში;

4 კრივის მოედანი;

5 სიმებიანი, მუსიკალური საკრავი;

6 ბიჭუნა მულფტილმიდან „მაღლა“;

7 ჯუნგლების ხვი-არა მცენარე;

8 იაპონური მულტფილმი მამაც ბიჭზე;

9 „... და ჯერი“;

10 „... მაუსი“;

11 ხილიც არის და ფრინველიც;

12 მულტფილმი გოგონებზე;

13 კომში;

14 ლომი „მადა-გასკარიდან“;

15 ცნობილი ოჯახი – გომერი, მარჯი, ლიზა და ა.შ.;

16 „... და კარლსონი“;

17 კამათლებით თამა-ში ხის დაფაზე;

18 გასართობი ადგი-ლი, ...თეკა;

19 ქართული მულტ-ფილმი კომბლების მთლელზე;

20 ძაღლის ნაშიერი;

21 „... პუჰი“;

22 „კუ ...“

23 შემო-ღამება;

24 პატარის სა-პირისპირო;

25 „დიდი გამყინვა-რების“ ვეფხვი;

26 დიდი ბაყაყი;

27 მოკლე შარვალი;

28 პუმბას მეგობარი;

29 ლოკოკი-ნის სახლი;

30 კოსმოსური ხომალდი.

# იპოვე უცნაურობები

ამ ნახატში
მხატვარს
საკმაოდ
დაუშვია
შეცდომები.
აბა, კარგად
დააკვირდი
და იპოვე
შეცდომები.



# და შენ, რომელ ვინქსს ჰგავხარ?

გულწრფელად უპასუხე კითხვებს და აღმოაჩენ, როგორი ხასიათი გაქვს.



დასაწყისი

ენერგიით სავსე ხარ?
- კი → სულ გეჩქარება?
- არა → ჩაფიქრება გჩვევია?

სულ გეჩქარება?
- კი →
- არა → გიყვარს მუსიკა?

ჩაფიქრება გჩვევია?
- კი → გიყვარს სამკაულები?
- არა → გიყვარს ცეკვა?

გიყვარს მუსიკა?
- კი →
- არა → გიყვარს ცეკვა?

გიყვარს ცეკვა?
- კი →
- არა →

გიყვარს სამკაულები?
- არა → გიყვარს ცეკვა?

გიყვარს შეჯიბრება?

კი → გიყვარს სპორტი და ვარჯიში?

არა → მუდამ მოდურად გაცვია?

გიყვარს სპორტი და ვარჯიში?

კი → სპორტული

არა → როკული

კი

მუდამ მოდურად გაცვია?

კი → როკული

არა → რომანტიკული

ადვილად იღებ გადაწყვეტილებას?

კი → მუდამ მოდურად გაცვია?

არა → გიყვარს სიგიჟეების ჩადენა?

არა

სილამაზე გულს გიჩუყებს?

კი → გიყვარს სიგიჟეების ჩადენა?

კი

გიყვარს სიგიჟეების ჩადენა?

არა → რომანტიკული

კი → მოდური

სპორტული

როკული

რომანტიკული

მოდური



ვინქსების შესახებ მეტი
წაიკითხე წიგნში

# ლაბირინთი

აბა დააკვირდი, რომელი გზა მიიყვანს ამ თევზს თავის სახლამდე?



ასოები ციფრების მიხედვით ამოკრიფე და გაიგებ, ვის სჭირდება ყველაზე მეტად ტრაქტორი.




პასუხი: ფერმერი

# გააფერადე



# კროსვორდი „არჩევანი“

სამი ვარიანტიდან აირჩიე, რომელია ზედმეტი და ჩასვი კროსვორდის უჯრებში.




1
- ჩანგალი;
- ფანქარი;
- ქაფქირი.

2
- ტიტა;
- ჭიქა;
- ტაფა.

3
- ყაყაჩო;
- მიხაკი;
- ცხვარი.

4
- ატამი;
- ლეღვი;
- ბარბი.

5
- ქათამი;
- კარადა;
- დივანი.

6
- ცხენი;
- ფარდა;
- ძროხა.

7
- თეფში;
- ქვაბი;
- კიტრი.



წაიკითხე ამოცანის პირობა. ამოხსენი შესაბამისი მოქმედებით და მიუწერე წერილობითი პასუხი.

ა) ნახატზე მოცემულია 8 ნაცრისფერი და 4 შავი ფანქარი. სულ რამდენი ფანქარია ნახატზე?



მოქმედება: ........................................ = ............

პასუხი: ........................................................................................................

ბ) დედამ გასაშრობად გაფინა 10 ზოლიანი და 8 ერთი ფერის ხელსახოცი. სულ რამდენი ხელსახოცი კიდია თოკზე?



მოქმედება: ........................................ = ............

პასუხი: ........................................................................................................

გ) კოდალამ ხეზე კაკუნით ჯერ 7 ხვრელი გააკეთა, მერე კი – 8, სულ რამდენი ხვრელია ხეზე?



მოქმედება: ........................................ = ............

პასუხი: ........................................................................................................

# ვინ მიასწრებს

ამ თამაშში 4 ბავშვი მონაწილეობს, თუმცა ორისთვისაც შეიძლება. მოიმარჯვეთ კამათელი, ფანტები და აირჩიეთ, რომელი პერსონაჟის მხარეს ითამაშებთ, შემდეგ ფანტები თქვენ-თქვენს გმირებზე განათავსეთ და კამათელი გააგორეთ.



ჯუდი ჰოპსი





ნიკ
უაილდი

სვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყებთ, თუ კამათელზე იგივე ციფრი დაჯდება, რომელიც პირველსავე უჯრაზეა მითითებული. მომდევნო სვლებსაც იმავე პრინციპით აგრძელებთ.

# ზოოტოპიაში?

ვთქვათ, ჯუდი ჰოპსის მხარეს თამაშობ... პირველ უჯრაზე კი 1-იანია მითითებული, სანამ კამათელი 1-ზე არ დაჯდება, სვლას ვერ დაიწყებ. შემდეგ უჯრაზე 5 წერტილია, ე.ი. სანამ კამათელი 5-ზე არ დაჯდება, ვერ გადაადგილდები.



მაიორი ლომგულა





შერიფი ბოგო

გამარჯვებულია ის, ვინც პირველი მივა ქალაქ ზოოტოპიაში.

# ზოოპარკის ისტორია

ზოოლოგიური პარკი, ან როგორც ჩვენ ვუწოდებთ ხოლმე შემოკლებით – ზოოპარკი, ადამიანებმა მოიგონეს იმისთვის, რომ ცხოველებს დააკვირდნენ, შეისწავლონ და ხალხს მათი ნახვის შესაძლებლობა მისცენ. დღესდღეობით ზოოპარკები იმისთვისაც არსებობს, რომ ადამიანები ბუნების დაცვასა და იშვიათი ცხოველების შენარჩუნებაზე ჩააფიქროს.



სპეციალური ადგილები, სადაც ცხოველები ჰყავდათ ხოლმე დატყვევებული და მათ უყურებდნენ, როგორც სანახაობას, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში ჰქონიათ,

მერე – ძველ რომშიც, სადაც ყველაფერს სანახაობად აქცევდნენ, ადამიანების სასიკვდილო შებრძოლებებსაც კი.





ასე გამოიყურებოდა ზოოპარკის ვოლიერი მეოცე საუკუნის დასაწყისში.

მე-15 საუკუნეში, მოგზაურმა გილბერტ დე ლანოამ, ლიტვაში მოგზურობისას, თავის დღიურში დაწერა: „ქალაქ ტროკახში არის, შემოღობილი პარკი, რომელშიც ველური ცხოველების სხვადასხვა სახეობა ბინადრობს. უამრავი სხვადასხვა ცხოველი ვნახე იქ, რომლებიც შეიძლება, მხოლოდ ტყეში ან უცხო ქვეყნებში აღმოაჩინო“.

უკვე ოფიციალურად, ზოოლოგიური პარკები 1752 წელს გამოჩნდა ვენაში და 1770 წელს — მადრიდში. ამის შემდეგ პარიზში და რამდენიმე სხვა ქალაქშიც გაიხსნა. თანდათან გაჩნდა ისეთი ზოოპარკებიც, სადაც ცხოველები გალიებში კი არ იყვნენ მოქცეულნი, არამედ უშველებელი ტერიტორიები ეთმობოდათ და იქ თავისუფლად გადაადგილდებოდნენ.







თბილისის ზოოპარკი, რომელშიც ალბათ ყველანი ყოფილხართ, არც ისე ახალია — ის 1927 წელს გაიხსნა. სამწუხაროდ, შარშან, 13 ივნისის წყალდიდობის დროს ის საკმაოდ დაზიანდა, თუმცა დღესაც ბინადრობენ იქ იშვიათი ცხოველები და ფრინველები, რომელთა ნახვა კვლავ შეგიძლიათ.

TBILISI ZOO

გააფერადე ზოოპარკის ბინადარი სპილო



# ბებერი კუ



არავინ იცის, რამდე-
ნი წლის არის ბებერი კუ, ტატა. ზოგი ამბობს, ასი წლის იქნებაო, ზოგს დაუ-
ჟინია, ნამდვილად ვიცი, ორასი წლის ბრძანდებაო. რაც მთავარია, თავად კუ ტატამ არ იცის, რამდენი წლის არის. ეს რომ გაი-
გოს, ყოველ წელს ოჯახის წევრებს სთხოვს, ბაკანზე თითო ნაკაწრი გამიკეთეთ, რომ დავითვლით, იქნებ, ამით მივხვდეთ, რამ-
დენი ხნის მოვიყარეო. ამოკაწვრით კი ამოკაწრეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისმა შინაურებმა მხოლოდ ათამდე თვლა იციან.



ბებერი კუ, ტატა ერთადერ-
თია, რომელმაც ათს ზემოთ თვლა იცის, თანაც, გრძელი კისერი კი აქვს, მაგრამ თავის ბაკანს მთლიანად მაინც ვერ ხედავს. ამ გასაჭირში რომ იყო, ერთი კარგი აზრი დაებადა, – შინაურებს სთხოვა, მოდი, თი-
თოეულმა თქვენგანმა ათ-ათი ნაკაწრი დაითვალეთ და მერე შევკრიბოთო.



მოხუც კუს სურვილი შეუსრულეს და თორმეტმა კუმ ათ-ათი ნაკაწრი დათვალა. ახლა ტატას ისღა დარჩენოდა, თორმეტზე ათი გაემრავლებინა. ხომ იცით, კუ როგორი ზოზინაა, იმდენ ხანს ანგარიშობდა კუ ტატა, რომ შინაურებს თავი მოაბეზრა და ყველანი სათითაოდ გაიპარნენ.



მიილია დეკემბერი, კიდევ რამდენიმე წელი და თვეც, მოხუცი კუ ტატა კი ანგარიშობს და ანგარიშობს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოთვალა, – თურმე ასოცი წლის ყოფილა! მაგრამ სჯობს, არ უთხრათ, რომ რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოანგარიშება დაიწყო. თქვენ ხომ მიხვდით, ბავშვებო, რამდენი წლის არის ახლა მოხუცი ტატა?

*ზღაპარი გადმოტანილია „პალიტრა **L**“-ის წიგნიდან „365 ძილისპირული ამბავი“*

ამ არსებებს წინ ბურთები უდევთ. შეხედე ბურთების ფერებს და მიხვდები, რომელი კანფეტი რომელი არსებისაა.



შეაერთე წყვეტილი ხაზები თანმიმდევრობით და გაივარჯიშე ხელი.



# პაწაწუნებისთვის

რომელი პროფესიის ადამიანს რომელი ტრანსპორტი შეესაბამება? ისინი ერთმანეთთან ფანქრით დააკავშირე.


























# გააფერადე



# გააფერადე

შეაერთე წერტილები თანმიმ-
დევრობით და გააფერადე ნახატი.



# შეამოწმე შენი ცოდნა





1. რა მოუვა მცენარეს ზედმეტი მორწყვით?

ა დალპება

ბ გახმება

გ გაიზრდება



2. რას ამბობენ ადამიანზე, რომელსაც საქმე განაღდებული აქვს?

ა ორწყალშუაა

ბ თავი ქუდში აქვს

გ ღობე-ყორეს ედება



3. რომელ გარეულ ცხოველს უყვარს თაფლი, შვინდი და პანტა?

ა კურდღელს

ბ მგელს

გ დათვს





4. რა ჰქვია სახსარს, საიდანაც ხელის მტევანი იწყება?

ა იდაყვი

ბ კოჭი

გ მაჯა



5. რომელია წყვილის ცეკვა?

ა „ქართული“

ბ „სამაია“

გ „ჯეირანი“





6. რა დროს სრულდება მაყრული?

ა შრომის დროს

ბ ქორწილში

გ ნათლობის დროს



7. რომელი სიტყვა მიესადაგება ფრინველს?

ა მონავარდე

ბ ფაფარაშლილი

გ ყურებჩამოყრილი



8. ვისი სახელობისაა თბილისის უდიდესი საკათედრო ტაძარი?

ა სამების

ბ ღვთისმშობლის

გ წმ. გიორგის

ტესტი

# გონივრულად იყენებ თუ არა დასვენების დღეებს?

უფროსებს საქმეების გაკეთებაში ეხმარები?
ა) დიახ, ვცდილობ ყველაფერში მივეხმარო;
ბ) თუ შემიძლია, ვეხმარები,
თუ არა და, რა ვქნა?
გ) არა, ვისვენებ, რა დროს საქმეა.

არდადეგებზე, სოფელში ან კურორტზე
ჩასული რას აკეთებ?
ა) ბავშვებთან ერთად ვერთობი და
იქაურობას ვათვალიერებ;
ბ) როგორც უფროსები დამიგეგმავენ,
დღეებს ისე ვატარებ;
გ) მხოლოდ ვისვენებ, ყველაფრის კეთება მეზარება.

არდადეგების დროს მეცადინეობ
ან კითხულობ რამეს?
ა) კი, მიყვარს წიგნების კითხვა;
ბ) თუ დამაძალეს კი, ისე არ
მიყვარს მეცადინეობა;
გ) მეზარება.

სიცხეს როგორ არიდებ თავს?
ა) ვჭყუმპალაობ;
ბ) როგორც მომიხერხდება;
გ) მძინავს.

რა უფრო გიყვარს ზღვა, მთა
თუ შინ ყოფნა?
ა) ზღვაც და მთაც;
ბ) სულ ერთია, სად დავისვენებ;
გ) შინ დასვენება მირჩევნია.

თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:
ყოჩაღ, კარგად და შინაარსიანად ისვენებ. უფროსებსაც ეხმარები, ახალ შთაბეჭდილებებსაც იღებ და აქტიურადაც ისვენებ.

ბ ვარიანტი:
გიყვარს დასვენება, მაგრამ ამისთვის დიდად არ ირჯები. შენთვის მნიშვნელობა არ აქვს, სად წახვალ, არც გართობაზე იკლავ თავს. ეცადე, კიდევ უფრო კარგად და ხალისიანად დაისვენო, გაერთო, იწუწაო, წიგნები წაიკითხო. ნუ ელოდები, უფროსები როგორ მოახერხებენ შენს გართობას. თავადაც დაგეგმე შენი დასვენების დღეები, რომ მეტად ისიამოვნო.

გ ვარიანტი:
ეტყობა, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებ დასვენებას. შენთვის სულ ერთია, სად იქნები, გამოიყენე არდადეგები და ცოტა მეტად გააქტიურდი, დააგროვე სასიამოვნო შთაბეჭდილებები.





# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.



მაიკო ხუციშვილი, 8 წლის



ანა სიფრაშვილი, 11 წლის



ნინო ნარიმანიძე, 7 წლის



ელისაბედ ჯაჭვაძე, 8 წლის



სალომე გვილავა, 9 წლის



ნინო მორჩილაძე, 9 წლის



ანასტასია მარკოზაშვილი, 4 წლის



ილია შონია, 7 წლის



მოსე შალვაშვილი, 5 წლის



გიორგი წილოსანი, 8 წლის



თომა კოპალეიშვილი, 7 წლის

## №30-ის პასუხები

**გვ. 6-7 შემეცნებითი კროსვორდი:**
1. ბუმბული; 2. გუბე; 3. მეცხვარე; 4. თებერვალი; 5. რომი; 6. მტკვარი; 7. ტასიკო; 8. ბემბი; 9. სირაქლემა; 10. საბერძნეთი; 11. ნიკაპი; 12. ზღარბი; 13. იორი; 14. ყბედი.

**გვ. 9. კროსვორდი:**
1. ზოოტოპია; 2. აკელა; 3. ლაბრადორი; 4. რინგი; 5. გიტარა; 6. რასელი; 7. ლიანა; 8. ნარუტო; 9. ტომი; 10. მიკი; 11. კივი; 12. ვინქსები; 13. ბია; 14. ალექსი; 15. სიმფსონები; 16. ბიჭუნა; 17. ნარდი; 18. დისკო; 19. კომბლე; 20. ლეკვი; 21. ვინი; 22. ნინძები; 23. ბინდი; 24. დიდი; 25. დიეგო; 26. გომბეშო; 27. შორტი; 28. ტიმონი; 29. ნიჟარა; 20. რაკეტა.

**გვ. 14. კროსვორდი „არჩევანი“:**
1. ჩანგალი; 2. ტიტა; 3. ცხვარი; 4. ბარბი; 5. ქათამი; 6. ფარდა; 7. კიტრი.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-ბ; 3-გ; 4-გ; 5-ა; 6-ბ; 7-ა; 8-ა.

**გვ. 30 სკანვორდი:**
1. ბარაბასი; 2. ბადმინტონი; 3. ვედრო; 4. ალადინი; 5. ბატი; 6. სიმბა; 7. ნიანგი; 8. მინი; 9. ნავი; 10. ნემო; 11. გოჭი; 12. ვინი.

**ორხაზა კროსვორდი:**
დროშა; ვინ; ალიბუხარი; რე; მინა; მი.
დრო; შავი; ნალი; ბუ; ხარ; ირემი; ნამი.


დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №30 (595)



ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი




## ორხაზა კროსვორდი



# სათამაშო გვერდი

ეცადე, ორ მცდელობაზე მოათავსო ბურთი კალათში.



მიიყვანე თაგუნა სანუკვარ თხილთან, გამოიყენე „გასაღები“.



ზევით ↑
ქვევით ↓
მარჯვნივ →
მარცხნივ ←

| | |
|---|---|
| 2 ↑ | 1 ↓ |
| 2 → | 1 → |
| 1 ↑ | 1 → |
| 2 ← | 2 ↓ |
| 2 ↑ | 1 → |
| 4 → | 5 ↑ |
| 2 ↓ | |

პალიტრა L

პირველად საქართველოში!

# ეს ყველასთვის ცნობილი კლუბია!

## ჯადოსნური ფერიების გაერთიანება, რომლებიც სამყაროს გადასარჩენად იბრძვიან.



- ბლუმი – დრაკონის ცეცხლის ფერია
- სტელა – მზის ფერია
- ტექნა – ტექნოლოგიის ფერია
- მუზა – მუსიკის ფერია
- ფლორა – ბუნების ფერია
- აიშა – ტალღებისა და წყლის ფერია







წაიკითხე, გაერთე, იფრინე და შეებრძოლე ბოროტ ძალებს ვინქს კლუბის ფერიებთან ერთად!

ამბების წიგნი
გასაფერადებელი
სტიკერების წიგნი







**-20%-იანი ფასდაკლება**
მთელ სერიაზე მხოლოდ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ. www.palitral.ge Palitra.L.Publishing